ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7727892

ნომერი: AR11118053

თარიღი : 19.11.2025

გაცემის თარიღი : 03.12.2025

გაცნობის თარიღი : 03.12.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ს. ჩიქოვანი , N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერიან თუმანიშვილი პ/ნ 01008011046
- თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 1 ბ. 21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენი საკითხი და განხილვის შედეგად დადგენილ იქნა შემდეგი სახის ხარვეზები, კერძოდ:
.1...ობიექტის ფუნქციური დანიშნულება.: დაზუსტდეს რა ფუნქციების შემცველი იქნება საპროექტო შენობა.
მიუთითეთ პროცენტული გადანაწილება,
2. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
წარმოდგენილი იქნას განახლებული ფოტომასალა თარიღის მითითებით, ვინაიდან აღნიშნული ფოტოებო წარმოდგენილი იყო AR11108647 განაცხადზე;
3. ....საინფორმაციო დაფა-ბანერი.: ბანერზე მიეთითოს საპროექტო შენობა-ნაგებობის სართულიანობა.
4. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა.:
წარმოსადგენია საპროექტო შენობის განთავსების სქემა (გენგეგმა) მიბმის მანძილების ჩვენებით, როგორც საკადასტრო საზღვრამდე, ასევე ხე-ნარგავებამდე და იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიაზე არსებული ხენარგავებიდან ვერ იცავთ სავალდებულო 3, ხოლო ბუჩქებამდე 1,5 მეტრიან მანძილს წარმოდგენილ იქნას უფლებამოსილი ორგანიზაციის ან/და სპეციალისტის საექსპერტო დასკვნა, ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება (სახეობის და გარშემოწერილობის შესახებ, რომელიც იზომება მიწის ზედაპირიდან 10 სმ. სიმაღლეზე), რომელთა დასკვნის საფუძველზე წარმოდგენილ უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე მონიშნული ხე-ნარგავები შესაბამისი ექსპლიკაციის მითითებით. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმდოგენის შემდეგ საკითხი გადაეგზავნება გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს, რის შემდგომაც გეცნობებათ პასუხი არსებული ხის მოჭრა/გადარგვასთან დაკავშირებით.
რის შემდგომაც საკითხი გადაგზავნილ იქნება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურსში განსახილველად.
5. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე ინტერაქტიული რუკის მიხედვით ვრცელდება გაზსადენის შეზღუდვა საჭიროა წარმოადგინოთ შპს თბილისი ენერჯის პოზიცია სამშენებლო სამუშოებთან დაკავშირებით.
ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე ინტერაქტიული რუკის მიხედვით ვრცელდება ხაზოვრივი ნაგებობები ს/კ:01.00.037 – „შპს ახალი ქსელების“ კავშირგაბმულობის ხაზი, ; 01.00.323 და 01.00.387 - სააქციო საზოგადოება „სილქნეტის“ საკომუნიკაციო ნაგებობები; საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრეების პოზიცია სამშენებლო სამუშოებთან დაკავშირებით.
6. ვინაიდან ნაკვეთზე ვრცელდება შსს შეზღუდვა, თქვენი განაცხადი გადაგზავნილია შინაგან საქმეთა სამინისტროში განსახილველად (60-01253371068), პასუხი გეცნობებათ დანართის სახით.
არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.